

საქართველო

ქრონიკული
ბიზნისი

საქართველოს
საგარეო
აღმოსავლეთის
დასავლეთის
აქტივობები

საქართველო გაზეთი ხუთშაბათი 8 დეკემბერი 2005 №282 (2605)

ფასი 50 თეთრი

ჰენდუ ჰოს!

ახალკაცმა აბენტებს ხელები ააწვიანა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ნოდარ ახალკაცმა გუშინ ფაქსი გაუგზავნა ფიფას აგენტ ნიკოლა სკრელიას და აცნობა, რომ ეროვნული გუნდის მწვრთნელობის კანდიდატ კლაუს ტომპიოლერთან მოლაპარაკება მან და ალექსანდრე ტონიამ უნდა შეწყვიტონ.


ახალკაცის წერილში ნათქვამია, რომ ის უფლებამოსილება, რომელიც ტომპიოლერთან მოლაპარაკების დასაწყებად 26 ნოემბერს ფეხბურთის ფედერაციამ ვიცე-პრეზიდენტ რევაზ არველაძის ხელმოწერით სკრელიასა და ტონიას სახელზე გასცა, ბათილია, რადგან არველაძეს ამის უფლება არ ჰქონდა.

წერილის მიღების შემდეგ ნიკოლა სკრელიამ ტომპიოლერთან და მის მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოსვლაზე უარი თქვა. თუმცა თავის ძველ პოზიციაზე რჩება და იმედოვნებს, რომ კლაუს ტომპიოლერმა თუ კონტრაქტი გააფორმა, ეს აგენტების გარეშე არ მოხდება.

თავად კლაუს ტომპიოლერი კი თბილისში კვირას ჩამოვა.



ფოტო
ნოდარ ახალკაცის




ლოკომოტივი კუკუშკაა? ერთი ზრე და მორჩა?

თბილისის „ლოკომოტივი“ დამთავრდა! გუშინდელ კრებაზე „ლოკომოტივის“ ყველა ფეხბურთელს გათავისუფლების ფურცელი ჩამოურიგეს, „სილქ როუდ გრუპმა“ კი კლუბის პატრონობის ვალდებულება მოიხსნა და დაფინანსება შეწყვიტა. და კიდევ: დღეს „ლოკომოტივის“ გენერალური დირექტორი ლევან ყიფიანი პრესკონფერენციას გამართავს და, სავარაუდოდ, სამსახურიდან წასვლის თაობაზე გააკეთებს განცხადებას. აი, ასეთი ამბებია თბილისის „ლოკომოტივში“, დანარჩენს კი ალბათ პრესკონფერენციაზე იტყვიან.

დანარსსხეობა

მანჩესტერი და ვარდა



AFP
ლონდონიდან

სულიგნების შესახებ... ინგლისი ახსენა და ჯონი ხელში დაიჭირა

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ პარასკევს, ლაიპციგში კენჭისყრის დასრულებისთანავე შეუდგებიან ინგლისისა და პოლანდიის ნაკრებების მომავალ თამაშთან დაკავშირებულ უსაფრთხოების გაძლიერებაზე ფიქრს. როგორც ირკვევა, სულიგნობის საკითხი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება გერმანია 2006-ის დღეებში და, როგორც ევროპაში გამართული წინა ჩემპიონატის, საფრანგეთი 98-ის გამოცდილებამ გვაჩვენა, ყველაზე საშიში ხალხი ინგლისელები, პოლანდიელები და საკუთრივ გერმანელები არიან.

მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის დებულებაში წერია, რომ ორგანიზატორებს კენჭისყრით განსაზღვრული სარბიულების გამოცვლის უფლება არ აქვთ. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, ინგლისისა და პოლანდიის ნაკრებებს, ამა თუ იმ მატჩის ჩატარება რომელიმე პატარა ქალაქში მოუხდეთ. რაც შეეხებათ გერმანელებს და ბრაზილიელებს, მათ, როგორც ჯერჯერობით არის ცნობილი, დიდ ქალაქებში, მიუნხენში, დორტმუნდსა და ბერლინში მოუწევთ თამაში.

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი გერმანიაში 9 ივნისიდან 9 ივლისამდე ჩატარდება.

მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი პორსტ შმიდტი: „როგორც კი გავარკვევთ,

სად ჩატარდება ინგლისისა და პოლანდიის თამაშები, იმწუთას შევეუდგებით გაძლიერებული უსაფრთხოების გეგმების დამუშავებას“.


ცხადია, როგორც ყოველთვის, დგას მუნდიალის თამაშებზე მოსახვედრი ბილეთების პრობლემა. შმიდტი ამბობს: „ჩვენ ყველა ღონეს ვიხმართ, რათა თითოეული მონაწილე ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციას იმაზე მეტი ბილეთი შეხვდეს, ვიდრე თავიდან ვეარაუდობდით“.

ეს როგორ უნდა მოხერხდეს? ეს, თურმე იმ შემთხვევაში მოხერხდება, თუ ბილეთების, მისთვის გამოყოფილ რაოდენობაზე უარს იტყვის მეტოქე ქვეყნის ასოციაცია ან სპონსორები, ფიფას პარტნიორები და მიწვეული სტუმრები თუ დაბარებულნი თავისი წილიდან.

ბილეთების სახალხო გაყიდვა დაგეგმილია 12 დეკემბრიდან, 31 იანვარს კი ყველაფერი საბოლოოდ იქნება გარკვეული.


ერთიც, საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი უარყოფს, თითქოს ბოლოხანს გაკრიტიკებულ კაიზერსლაუტერნის, ნიურნბერგისა და ფრანკფურტის სტადიონებს რაიმე ჰქონდეს დასაწუნი და ამბობს, რომ მისი აზრით ფავორიტი ბრაზილია, მის შემდეგ რიგში კი მოდიან გერმანია, ინგლისი, არგენტინა და იტალია.

ბაპუნა კედი



გერმანელებს ინგლისელი ქომაგების ეშინიათ.

ბენუა პედრეტის ტყვეობა ესროლეს



ფრანგული ჟურნალი Les Cahiers Do Football უკვე მესამე წელია, გამოკითხვას ატარებს, საფრანგეთის ჩემპიონატის ყველაზე ცუდი მოთამაშის გამოსავლენად და მას სიმბოლურად „ტყვეობის ბურთს“ გადასცემს.

წლებულს ეს ჯილდო ბენუა პედრეტს „მოიპოვა“, რომელიც „მარსელიდან“ „ლიონში“ გადაბარგდა და სათადარიგოთა სკამზე დაშვებულად ეროვნული გუნდის წევრია და მუდმივ პრაქტიკას საჭიროებს.

პედრეტს საგრძობლად გაუსწრო მთელი ადგილზე გასულ ყაბიენ ბარტესს და უიღბლოთა სიაში მესამე პოზიციის მფლობელ ფილიპ კრისტენვალს.

კოკი კანდელიანი

ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატის კენჭისყრაა. მოგეხსენებათ, ამასთან დაკავშირებით სამშაბათს, ფიფამ გუნდები უკვე განთესა, ასე რომ, იმის გარკვევასდა უნდა დაველოდოთ, მუნდიალის ჯგუფებში ვის ვისთან მოუწევს ჭიდილი და გამარჯვებულებს რა მარშრუტი ელით ფინალისკენ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, თავად კენჭისყრის თემაა ძალიან საინტერესო. კენჭისყრასაც აქვს თავისი ისტორია, საცხე ქვიანური მიგნებებით, შეცდომებით და ცვლილებებით, რომელთა შესახებ საუბარი ძალიან ვრცლად შეიძლება და შორს ნაგვიყვანდა. ამიტომ, ქვემოთ კენჭისყრათა ისტორიიდან რამდენიმე საინტერესო ეპიზოდს გთავაზობთ



ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი

სანამ პარასკევი მოვა

ბოლო ნაბიჯი

1930 წელს, პირველ მუნდიალზე თავი ცამეტმა გუნდმა მოიყარა. მათგან ექვსი სამხრეთ ამერიკიდან იყო, ორი ჩრდილოეთ ამერიკიდან და ხუთი ევროპიდან. ეს ქვეყნები შეჯიბრებისთვის არავის შეურჩევია. იყო მიწვევები და ვინც მონაწილეობას დათანხმდა, ურუგვაისკენ გაემართა. საინტერესოა, რომ ევროპულმა გუნდებმა ერთი გემი იქირავეს და ატლანტიკის ოკეანის მეორე ბოლოში უკვე მეგობრულად ჩავიდნენ. ამ ყველაფრის გამო, კენჭისყრა ურუგვაიაში მხოლოდ მაშინ ჩატარდა, როდესაც მონაწილეებმა საბოლოოდ მოიყარეს თავი.

პირველი გოლი

1938 წელს გუნდებს კენჭი სუპერმოდელმა ან ცნობილმა მსახიობმა კი არა, ბავშვმა უყარა. ეს ბავშვი ფიფას პრეზიდენტის, ყოულ რიმეს შვილიშვილი ივ რიმე გახლდათ.

1950

ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ, ევროპულმა გუნდებმა

გაოცებისგან პირი დააღეს, როდესაც გაიგეს, რომ პირველივე წაგების შემდეგ შინ დაბრუნება არ მოუწევდათ. შესარჩევით გასული 13 გუნდი ოთხ ჯგუფად განაწილდა. ორ ჯგუფში ოთხნი მოხვდნენ, ერთში სამნი და ერთშიც ორნი. გამარჯვებულებისგან შეადგინეს ფინალური ჯგუფი, სადაც პირველზე ურუგვაი გავიდა და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.

1958

შვედეთში სისტემა დაიხვეწა: ოთხი ოთხგუნდიანი ჯგუფიდან პირველი და მეორე ადგილებზე გასულნი მეთხუთხედინაში გადიოდნენ.

ბალაზიონია

კენჭისყრის ცერემონიალი ტელევიზიით პირველად 1966 წელს, ლონდონის „როიალ გარდენ პოტელიდან“ გადაიკა.

რადიო

გერმანიაში, 1974 წლის ცერემონიალი ფრანკფურტში, „რადიო პენის“ სტუდიაში ჩატარდა. მღეროდა ბერლინური „შონგებერგერ ზანგერკანბენის“ ბიჭუნათა ჯგუფი. იმ კენჭისყრის სენსაციური შედეგი გე-

რმანიის ფედერაციული და დემოკრატიული რესპუბლიკების გუნდების ერთ ჯგუფში მოხვედრა გახლდათ.

ზეცლომა

1982 წელს, ესპანეთში დოლი, რომელშიც ეყარა ბურთულები და რომელსაც სამხრეთამერიკული გუნდები პირველ ეტაპზე უნდა განეცალკეებინა, გაფუჭდა. მას მერე ფიფა მანქანებზე მეტად ადამიანებს ენდობა.

ვარსკვლავები

იტალიაში, 1990 წლის კენჭისყრის ცერემონიალი ვალაპარაისკის პარკში, სოფი ლორენმა, პელემ, კარლ-ჰაინც რუმენიგემ და სხვა ვარსკვლავებმა. ასეთი მასშტაბით მანამდე არაფერი ყოფილა.

ყიფია

1998 წელს, საფრანგეთში მიშელ პლატინის წინადადებით, კენჭისყრა მარსელის „ველოდრომზე“ ჩატარდა. სტადიონზე 38 ათასმა ადამიანმა მოიყარა თავი, ოღონდ ეგაა, ზამთრის საშინლად ცივი დღე დაემთხვა.

ბაპუნა კედი




1938 წელს გუნდები ფიფას მაშინდელი პრეზიდენტის, ყოულ რიმეს შვილიშვილმა ივ რიმემ დააწყვილა



ისროლა

ჩვენში იტყვიან ხოლმე, ისროლაო. საქმე კი ის არის, ტალღა რომ გისვრის. პირდაპირ ჰავაისპირა შტორმს შეეტაკა ავსტრალიელი მოსერფე კირენ პეროუ. ტალღები ხუთმეტრიანი იყო და პირაუც გაფრინდა.

AFP სან სეტ პოჩიდან



AFP ათენიდან

საჩუქარი ბელფურს

ასეა თამაშის წინ: ყინულთან გაჩვევის უამს ბარე ორმოცდაათ შაიბას დაყრიან და ერთ მეკარეს უხატეუნებენ. თუმცა ტორონტოელთა მთავარგუშაგი ედ ბელფური ამას არ ნაღვლობს, მთავარია, თამაშისას არ გაუშვას.



AFP ონტარიოდან

სატურიანო სეზონი

ოლიმპიადიდან ათენში უკვე ჩაიტანეს და ააბრი-ალეს ოლიმპიური ცეცხლი ტურინის ოლიმპიადისთვის. ახლა ჩირალდანი იტალიისკენ დაიძრება. გვარიან სიცივეში, ბერძენმა მსახიობმა ქალმა თეოდორა სიარკოუმ მთელი ცერემონიალი ზუსტად ჩაატარა.

სარბიელი

საერთოული გაზაფხულის

გამოცემა 1990 წლის
28 დეკემბრიდან

გამოცემის ორგანიზატორები:
საგაზეთო, ორგანიზატორები,
საგაზეთო, ორგანიზატორები,
პარასკევის და შაბათის

გამომცემელი ზურაბ შოთაძე
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამაზ მიხრიალი
პასუხისმგებელი რედაქტორი ანტონიო გურასაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი: დავით თავართქილაძე
კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, კახა შალაბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი: გიორგი ახვლედიანი, ილია
ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანი, გიორგი ვაშაყიძე, გიორგი კაკაბაძე

სოსო კოტორეიშვილი, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქტორი ვაჟა ახალაძე, ოთარ მაღლაკლიძე
ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუსუნიშვილი,
თამაზ გოგუბაშვილი, ფატი დვალისხვილი, მაგდა დოგრაშვილი,
რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ
წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე
შაზაძის გამზირი 42, II
პირველი, IV სართული.
საგაზეთო მისამართი:
თბილისი - 79, საგაზეთო
წიგნობა 208. ტელეფონი 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieri@gol.ge
ელექტრონული ვებ-გვერდი
<http://www.sarbieri.com.ge>